

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს  
დავით ფუტკარაძეს  
ელ-ფოსტა: [dphutkaradze@notary.ge](mailto:dphutkaradze@notary.ge)

**ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის  
საკითხებზე**

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup>  
მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის  
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.*

ბატონო დავით,

2022 წლის 30 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N6135/22) მომართა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, გ.კ.-მ და აღნიშნა, რომ სანოტარო მოქმედებაში ჩართვის წინაპირობად ნოტარიუსმა მას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა მოსთხოვა.

**1. ფაქტობრივი გარემოებების აღწერა**

გ.კ.-ის განმარტებით, 2022 წლის 12 აპრილს, იგი ნახევარ დასთან (თ. კ.-გ.) და მის დედასთან (ნ. ს.) ერთად იმყოფებოდა ქ. ქუთაისში, რუსთაველის ქ. N20/24 -ში მდებარე სანოტარო ბიუროში, ნოტარიუს ხ. ჯ.-სთან. ვიზიტის მიზანს მოქალაქე თ. კ.-გ.-სთვის მინდობილობის დამზადება/დადასტურება წარმოადგენდა. გ.კ., სხვა პირთან ერთად უნდა ყოფილიყო მოწმე აღნიშნულ პროცესში, სანოტარო მოქმედების განხორციელების პროცედურების შესაბამისად.

გარკვეული პროცედურების გავლის შემდგომ, ნოტარიუსი დაინტერესდა გ.კ.-ის სტატუსით და იმით, ჰყავდა თუ არა მას მხარდამჭერი. გ.კ.-ის განცხადებით, მან ნოტარიუსს განუმარტა, რომ მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ქონისა (სტატუსის განსაზღვრის საფუძველი: მრავლობითი სისტემური ატროფია, კოორდინაციის გარკვეული დარღვევებით), იგი არ საჭიროებდა მხარდამჭერს. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდგომ, ნოტარიუსმა გ.კ.-ს განუცხადა, რომ მის ხელმოწერას, როგორც მოწმისას ვერ მიიღებდა, რადგან იგი იყო მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და სანოტარო პროცედურებში მოწმედ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) წარდგენის გარეშე ვერ ჩაერთვებოდა.

იმის დასადგენად, თუ რა შემთხვევებში აქვთ ნოტარიუსებს უფლება, სანოტარო პროცედურებში ჩართვის მიზნით, პირს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის

წარდგენა მოსთხოვონ, ამასთან რა მიდგომების გამოყენება ხდება მხარდაჭერის მქონე და არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით (რეგულაციების/გაიდლაინების/ინსტრუქციების მითითებით), სახალხო დამცველმა კორესპონდენციით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის აპარატის აღმასრულებელ დირექტორს<sup>1</sup>.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2022 წლის 21 ივნისის კორესპონდენციით სახალხო დამცველს განემარტა, რომ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით ნოტარიუსებისთვის განსაზღვრულია პირის ვინაობის, უფლებამოსილებისა და ქმედუნარიანობის დადგენის, წარმომადგენლის უფლებამოსილების შემოწმებისა და დოკუმენტების გამოთხოვის ვალდებულება. კერძოდ, სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით ადგენენ იმ პირების ან მათი წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას<sup>2</sup>. კანონით დადგენილ შემთხვევაში ან მხარეთა შეთანხმებით, გარიგების დადასტურების დროს ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების მონაწილე პირთა უფლებამოსილებას და ქმედუნარიანობას<sup>3</sup>. თუ გარიგება წარმომადგენლის მეშვეობით სრულდება, ნოტარიუსი ასევე ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებასაც<sup>4</sup>. ნოტარიუსს უფლება აქვს, გამოითხოვოს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის აუცილებელი დოკუმენტები დაწესებულებისაგან, საწარმოსაგან ან ორგანიზაციისაგან<sup>5</sup>. შესაბამისად, ნოტარიუსთა პალატის განმარტებით, ხსენებული მუხლის საფუძველზე ნოტარიუსი უფლებამოსილია, ქმედუნარიანობის დადგენის მიზნით, პირებს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა მოსთხოვოს.

ნოტარიუსთა პალატის შეფასებით, ნოტარიუსებს აკისრიათ პრევენტული მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულება, რაც გულისხმობს იმას, რომ არ დაუშვან სამოქალაქო ბრუნვაში საფრთხიანი გარიგებების ჩაშვება, რათა ამან არ გამოიწვიოს მოქალაქეთა, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შეზღუდვა. მათი განმარტებით, სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირის მიერ ნების გამოვლენას, რათა არ მოხდეს ამ პირთა მოწყვლადობის არაკეთილსინდისიერად გამოყენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნოტარიუსი ვალდებულია, დარწმუნდეს სანოტარო აქტის მონაწილის ქმედუნარიანობაში და თავისი რწმენის შესახებ მიუთითოს დამადასტურებელ წარწერაში. ნოტარიუსს არ აქვს უფლებამოსილება, შეასრულოს სანოტარო მოქმედება, თუ ეჭვი ეპარება მასში მონაწილე

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 2 ივნისის N09-2/5754 კორესპონდენცია

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მუხლი 48, პუნქტი 1

<sup>3</sup> იქვე, პუნქტი 2

<sup>4</sup> იქვე, პუნქტი 3

<sup>5</sup> იქვე, პუნქტი 4

პირის ქმედუნარიანობაში<sup>6</sup>. რაც შეეხება მხარდაჭერის მქონე და არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ მიდგომებს, ამ მიმართულებით ნოტარიუსთა პალატამ განმარტა, რომ სანოტარო მოქმედებებში ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების ჩართვა მხარდაჭერის დანიშვნის თაობაზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება.

გ.კ.-ის მიერ დასახელებულ გარემოებთან დაკავშირებით, ნოტარიუსთა პალატამ ნოტარიუს ხ. ჯ.-სგან ახსნა-განმარტების წარდგენა მოითხოვა, რის საფუძველზეც გამოიკვია, რომ ხ.ჯ.-ს თ. კ.-გ.-მ სანოტარო მოქმედების ონლაინ რეჟიმში გაცემის მოთხოვნით აპრილის თვეში მიმართა. ხსენებულ სანოტარო მოქმედებაში მონაწილეობა, მოწმის სახით, გ.კ.-ს უნდა მიეღო. ნოტარიუსის განმარტებით, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გ.კ.-ის მიმართ დასმულ კითხვებს პასუხს დედა, ნ. ს., სცემდა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ნოტარიუსმა გ.კ.-ს ქმედუნარიანობაში ეჭვი შეიტანა და მიიჩნია, რომ პრობლემური იყო მისი მხრიდან ნების გამოვლენის საკითხი, რაც თავის მხრივ, კანონმდებლობის შესაბამისად, სანოტარო მომსახურების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა. ნოტარიუს ხ. ჯ.-ის ახსნა განმარტებაზე დაყრდნობით, ნოტარიუსთა პალატას მიაჩნია, რომ სადავო შემთხვევაში ნოტარიუსის მხრიდან არ დარღვეულა კანონმდებლობის მოთხოვნები, რამდენადაც მისი ქცევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესების დაცვის მოტივით იყო განპირობებული.

## 2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის<sup>7</sup>.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან

<sup>6</sup> იქვე, მუხლი 52

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის № 1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძვლით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ პირის ქმედუნარიანობის საკითხი პირადი განვითარების უფლების (ძველი რედაქციით მე-16 მუხლი) დაცულ სფეროში ხვდება<sup>8</sup>. საკუთარი პიროვნების განვითარების უფლება იმდენად ფუნდამენტურია, რომ პიროვნებაზე ზრუნვის მოტივით მასში ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ეს პირის ინტერესების დაცვის უკიდურესად აუცილებელი ღონისძიებაა<sup>9</sup>. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზანი უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად მზღლდავი, მსუბუქი საშუალებით მიღწეული<sup>10</sup>.

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის (შემდგომში კონვენცია) მე-12 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ყველგან აქვთ უფლება სამართლის სუბიექტად აღიარებაზე. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქმედუნარიანობას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ცხოვრების ყველა სფეროში და ატარებენ სათანადო ღონისძიებებს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერა აღმოუჩინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თავიანთი ქმედუნარიანობის განხორციელებისას. ამასთან, მე-12 მუხლი კონვენციით განმტკიცებული ისეთი პრინციპების გამოძახილია, როგორცაა ღირსების პატივისცემა, ინდივიდუალური ავტონომია, მათ შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და ადამიანის დამოუკიდებლობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, სრული და ეფექტური მონაწილეობა, სოციალური ინკლუზია და ა.შ.<sup>11</sup> სამართალსუბიექტად აღიარებისას დისკრიმინაციისგან დაცვა კი გულისხმობს პირის ნების ავტონომიის და ღირსების პატივისცემას. სამართალსუბიექტობა აუცილებელია, რომ პირს ჰქონდეს საკუთარი არჩევანის გაკეთების თავისუფლება და არის გარანტი, რომ ადამიანის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება სამართლებრივად აღიარებული იქნება<sup>12</sup>.

კონვენციის მე-12 მუხლის ნორმატიული შინაარსის მიხედვით, სამართლებრივი ქმედუნარიანობა ორი კომპონენტისგან შედგება. ის, ერთი მხრივ, გულისხმობს უფლებებისა

---

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4/532,533 – „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3-6

<sup>9</sup> იქვე, II, 26

<sup>10</sup> იქვე, II, 13-14

<sup>11</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §4

<sup>12</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §33

და ვალდებულებების ქონის (უფლებაუნარიანობა), ხოლო, მეორე მხრივ, მათი პრაქტიკაში გამოყენების უფლებამოსილებას (ქმედუნარიანობა)<sup>13</sup>. ტრადიციულად, შშმ პირებისათვის განკუთვნილი ნებისმიერი სახის მხარდაჭერა დაფუძნებული იყო სამედიცინო მოდელსა და ე.წ. ზრუნვის პარადიგმაზე<sup>14</sup>, ხოლო კონვენციის მიღებამ ზრუნვის პარადიგმა მხარდაჭერის კონცეფციით შეცვალა, რომელიც ისეთ ღირებულებებს ეყრდნობა, როგორცაა, ადამიანის უფლებების დაცვა, თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა<sup>15</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციის განხორციელების გზაზე ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის ინსტიტუტს ენიჭება<sup>16</sup>, რომლის ძირითადი არსიც ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სხვებთან თანაბარი სამართალსუბიექტობისა და ქმედუნარიანობის უფლების აღიარებაში გამოიხატება. შესაბამისად, მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან უფლებამოსილნი, მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების შესახებ, თუმცა, ცალკეულ სფეროებსა და მიმართულებებში, შესაძლოა, სხვადასხვა ინტენსივობისა და ტიპის მხარდაჭერა დასჭირდეთ. ნებისმიერი სახის მხარდაჭერა, მათ შორის, ყველაზე ინტენსიური ფორმაც კი, უნდა ემყარებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სურვილსა და მის პრეფერენციებს, და არა იმას, რაც მესამე პირთა მიერ აღქმულია, როგორც პირის ობიექტურად საუკეთესო ინტერესი<sup>17</sup>.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა ტენდენციას, რომ საერთაშორისო ინსტრუმენტები, მათ შორის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაცვას და მათთვის რაც შეიძლება დიდი მოცულობით სამართლებრივი ავტონომიის მინიჭებას<sup>18</sup>. გარდა აღნიშნულისა, ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის არსებობა, თუნდაც ყველაზე მძიმე ფორმით, ვერ იქნება ერთადერთი მიზეზი, რომელიც გაამართლებს ავტომატურად ქმედუნარიანობის ჩამორთმევას<sup>19</sup>.

კონვენციით დამკვიდრებული პრინციპების გათვალისწინებით, ქმედუნარიანობის ინსტიტუტის დანერგვის პროცესში სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მყისიერად<sup>20</sup> მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები ისეთი ტიპის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რაც

---

<sup>13</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014

<sup>14</sup> Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, §23, 24

<sup>15</sup> Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, §25

<sup>16</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §26

<sup>17</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §29(b)

<sup>18</sup> ECtHR, Stanev v Bulgaria [GC], no.: 36760/06, 17/01/2017, §244

<sup>19</sup> ECtHR, Sykora v The Czech Republic, no.: 23419/07, 22/02/2013, §102; Gorgulu v Germany, no.: 74969/01, 26/05/2004, §52

<sup>20</sup> Report of the Special Rapporteur on the Rights of Persons with Disabilities, A/HRC/34/58, 2016, §40, ხელმისაწვდომია:

<https://bit.ly/3f2SrJ9>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ქმედუნარიანობის უფლების რეალიზებისათვის შეიძლება დასჭირდეთ<sup>21</sup>. სწორედ, აღნიშნული ვალდებულების გამოძახილია მხარდაჭერის რეფორმა, რომელიც საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების<sup>22</sup> საფუძველზე დაიწყო და რომელმაც ქვეყანაში არსებული პლენარული მეურვეობის სისტემა გააუქმა და მის ნაცვლად ახალი, გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი შემოიტანა.

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებები და მათთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რამდენადაც ისინი საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებიც ხშირად სტერეოტიპებისა და სტიგმის მსხვერპლნი ხდებიან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობისა და მათი უფლებების რეალიზების პროცესში ქმედუნარიანობის კონცეფციის სრულყოფილ დანერგვასა და განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მათ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხისადმი არასწორი, სტანდარტებთან შეუსაბამო მიდგომის გამოყენება.

წარმოდგენილ განცხადებაში გ.კ. აღნიშნავს, რომ მას შემდგომ, რაც მან ნოტარიუსს განუმარტა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიუხედავად იგი მხარდამჭერს არ საჭიროებდა, ნოტარიუსმა მას სანოტარო მოქმედებაში ჩართვის წინაპირობად ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) წარდგენა მოსთხოვა.

ქმედუნარიანობის რეფორმის ფარგლებში, კანონმდებლობით დეტალურად განისაზღვრა მხარდაჭერის საფუძველები, ფორმები და პროცედურები. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მხარდაჭერის მიმღები პირი არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქმედუნარიანი პირი<sup>23</sup>, რომელსაც მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს ცალკეულ უფლებათა და მოვალეობათა განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს<sup>24</sup>. განსხვავებით მანამდე მოქმედი პლენარული მეურვეობის მოდელისა, სადაც მეურვე აბსოლუტურად ანაცვლებდა სამეურვეო პირის ნებას, მხარდამჭერის მოვალეობაა, მხარდაჭერის მიმღებს ხელი შეუწყოს არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში<sup>25</sup>, მათ შორის, გარიგებების დადებისას დაეხმაროს გარიგების პირობების ჩამოყალიბებასა და

<sup>21</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 12, პუნქტი 3; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 1 – Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §16

<sup>22</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4/532,533 – „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014

<sup>23</sup> საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 12, ნაწილი 4

<sup>24</sup> საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363<sup>15</sup>, ნაწილი 3

<sup>25</sup> საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1278, ნაწილი 3

სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში<sup>26</sup>. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირისთვის მხარდამჭერის (მხარდამჭერების) დანიშვნის საფუძველს მხარდამჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს<sup>27</sup>, სადაც დეტალურად აღინიშნება, თუ რომელი უფლებების სარგებლობისთვის დაენიშნა მას მხარდამჭერი და რა ფარგლებში<sup>28</sup>. ამდენად, კანონმდებლობით ექსპლიციტურად განსაზღვრულია, რომ **პირისთვის მხარდამჭერის მიღების საჭიროება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დგინდება** და რომ აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტია არა კონკრეტული სამედიცინო დიაგნოზის არსებობა, არამედ პირის ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებების, სოციალური უნარებისა და ადაპტაციის შესაძლებლობის მულტიდისციპლინური კვლევა<sup>29</sup>.

მოცემულ შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ განმცხადებლის მხარდამჭერის საჭიროების განსაზღვრად ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) წარდგენის მოთხოვნა, მისი მხრიდან რეფორმის არსის არასწორ გააზრებასა და დისკრიმინაციის წამახალისებელი პრაქტიკის არსებობაზე მიუთითებს. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სანოტარო მოქმედებათა შესრულების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების დაცვას, რათა მეორე მხარის მხრიდან მათი მოწყვლადობის არაკეთილსინდისიერად გამოყენება არ მოხდეს, თუმცა ასევე განმარტავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის მოტივი ვერ გაამართლებს ამ პირთა უფლებების დისკრიმინაციულად შეზღუდვის შემთხვევებს, რამდენადაც, უფლებაში ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ეს პირის ინტერესების დაცვის უკიდურესად აუცილებელი ღონისძიებაა<sup>30</sup>.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის სანოტარო პროცედურაში ჩართვის საკითხის შესაფასებლად ნოტარიუსს შეეძლო დაინტერესებულიყო სასამართლოს მხრიდან მას დანიშნული ჰყავდა თუ არა მხარდამჭერი, თუმცა არ უნდა მომხდარიყო ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის დავალდებულება, რამდენადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ხაზგასმა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის დავალდებულების პრაქტიკა აბრკოლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად განხილვის პროცესს, ხელს უწყობს დისკრიმინაციის წამახალისებელი, მასტიგმატიზირებელი გარემოსა და განწყობების ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აფერხებს მხარდამჭერის რეფორმის ეფექტიან დანერგვას. მხარდამჭერის ინსტიტუტის სწორად გამოყენებას

<sup>26</sup> საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1293, ნაწილი 3

<sup>27</sup> იქვე, მუხლი 363<sup>21</sup>, ნაწილი 1

<sup>28</sup> იქვე, ნაწილი 2

<sup>29</sup> საქართველოს კანონი „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, მუხლი მუხლი 7, 10

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4/532,533 – „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 26

განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ნოტარიუსებმა, როგორც პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურებაზე პასუხისმგებელმა პირებმა<sup>31</sup>, სანოტარო საქმიანობის განხორციელებისას, არ წახალისონ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა და ამით ხელი არ შეუწყონ მათ სამოქალაქო გარიგებებიდან გარიყვას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნოტარიუსებს თავიანთი საქმიანობის მასშტაბურობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ბევრმა სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირმა მიმართოს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ პასუხისმგებლობას და როლს მხარდაჭერის ინსტიტუტის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნოტარიუსთა პალატას მიმართავს, ზოგადი წინადადებით:

- უზრუნველყოს ნოტარიუსთა მხრიდან ქმედუნარიანობის კონცეფციის სწორი გააზრება და მხარდაჭერის რეფორმის ფარგლებში განსაზღვრული სტანდარტების შესრულება, მათ შორის, აღმოფხვრას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის მოთხოვნის დისკრიმინაციული პრაქტიკა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,

---

<sup>31</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი 1